საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკა - ახალი შესაძლებლობები ბიზნესისათვის

ნინო ტაბატაძე

ნინო ანასაშვილი

თამარ ქოიავა

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ბიზნეს ადმინისტრირება(მენეჯმენტი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი აბაშიშვილი, ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

სარჩევი

აბსტრაქტი 3

შესავალი 4

საქართველოში მოქმედი სავაჭრო რეჟიმები 7

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია 9

DCFTA 10

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის უპირატესობა (რუსეთი–ყაზახეთი–ბელარუსის) საბაჟო კავშირთან შედარებით 16

კვლევის მეთოდოლოგია 19

საქართველოში პერსპექტიული საექსპორტო პროდუქტების ანალიზი 50

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის სამომავლო პერსპექტივები 55

დასკვნები და რეკომენდაციები 58

ბიბლიოგრაფია 62

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკას, რა როლი უჭირავს მას ქვეყნის ეკონომიკაში. განხილულია საქართველოში მოქმედი სავაჭრო რეჟიმები, ბარიერები. თემაში ვრცლად არის გაანალიზებული ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA).

ჩატარებული კვლევის მიზანია იმის გარკვევა, თუ რა შედეგი გამოიღო ქართული ექსპორტიორი კომპანიებისთვის DCFTA-ს ხელშეკრულების გაფორმებამ. კომპანიებთან დაკავშირების შედეგად, მოპოვებულ იქნა ინფორმაცია წარმოებული პროდუქციის ოდენობის და ექსპორტის ბაზრების შესახებ. შეირჩა კითხვები, რომლებზე პასუხის მიღების შემდეგ ნათელი გახდა ექსპორტიორების დამოკიდებულება, განწყობა და მოლოდინები. კვლევის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით კი გაცემულია რეკომენდაციები.

ნაშრომში განხილულია საქართველოს სავაჭრო პოტენციალი, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, დარგები და სფეროები, რომელთა განვითარებაც დაეხმარება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

თემა ასევე ეხება ევროკავშირის გარდა საქართველოს სამომავლო პერსპექტივებს სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების ჭრილში.